№ 11056
24 09 2015 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: ა) სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს და გ) რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მოგეხსენებათ, ბოლო წლების განმავლობაში ჩადენილი ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილის და შალვა თათუხაშვილის მკვლელობების საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული საქმეები განსაკუთრებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით გამოირჩევიან. განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია ამ საქმეების მიმართ საპარლამენტო უმცირესობას, ვინაიდან ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა სრულიად უსაფუძვლოდ უკავშირდება ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს გიორგი ღვინიაშვილს, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობით დაიწყო თავისუფალ მედიაზე ზეწოლის ახალი ეტაპი, ხოლო შალვა თათუხაშვილის მკვლელობის საქმეზე იკვეთება მოწმეზე ზეწოლისა და პროკურატურის დანაშაულებრივი ქმედების ფაქტები, რათა მიეღო მათთვის სასურველი ჩვენება.

მიუხედავად საზოგადოებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აქტიურობისა, სამართალდამცავი ორგანოები ვერ სცემენ პასუხს შეკითხვაზე, თუ რა იყო დანაშაულის ჩადენის კონკრეტული მიზანი და მიზეზი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში ვითხოვდით გახმაურებული მკვლელობის საქმეებზე საგამოძიებო კომისიის შექმნას, რის თაობაზეც იმსჯელა პარლამენტმა და იმ მოტივით, რომ მიმდინარეობდა გამოძიება და ყველა კითხვას გაეცემოდა პასუხი, ჩვენი მოთხოვნა საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მას შემდეგ გავიდა უკვე დიდი დრო, თუმცა საზოგადოება ვერ ღებულობს პასუხებს ამ მეტად მნიშვნელოვან გამოსაძიებელ საქმეებზე, რითაც იზრდება პოლიტიკური სპეკულაციები, რასაც თან სდევს დაუსრულებელი ურთიერთ

ბრალდებები. მიმდინარე წლის აგვისტოში ჩვენ წერილობითაც მივმართეთ საქართველოს პროკურატურას, რათა ეცნობინებინა აღნიშნულ საქმეებზე გამოძიების მიმადინარეობა, თუმცა სამწუხაროდ პროკურატურის პასუხით ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

ვინაიდან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული გამოუძიებელი საქმეების ბოლომდე მიყვანა და ჭეშმარიტების დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები ვითხოვთ პარლამენტის რეგლამენტის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს საკითხი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც შეისწავლის ზემოაღნიშნული პირების გარდაცვალების ფაქტებს.

ამასთანავე, დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 11 წევრით.

პატივისცემით,

გიორგი გაბაშვილი
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე

აკაკი ბობოხიძე
ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“ თავმჯდომარე

ტარიელ ლონდარიძე
ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ თავმჯდომარე